



საქართველოს სტატისტიკის  
ეროვნული სამსახური  
საქსტატი

მისამართი: თბილისი 0180, ცოტნე დადიანის ქ. #30  
ტელეფონი: (+995 32) 236 72 10  
ელ. ფოსტა: [info@geostat.ge](mailto:info@geostat.ge)  
ვებ-გვერდი: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

<p>უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სფეროში დაუკვირვებადი ეკონომიკის სტატისტიკური გამოკვლევა</p>	<p>კითხვარი # 04.0.7.6-1 (ერთდროული) დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2020 წლის 4 სექტემბრის #11 დადგენილებით</p>
--	---

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური მონაცემი და სხვა ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაცულია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით. ის გამოიყენება მხოლოდ კრებსითი სტატისტიკური მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

დაკვირვების უბანი

შინამეურნეობის №

რესპონდენტის სახელი და გვარი

რესპონდენტის საკონტაქტო ტელეფონი

ქალაქის:		მობილური:	
(კოდი)	(ნომერი)	(კოდი)	(ნომერი)

	სახელი, გვარი	ხელმოწერა	კოდი
ინტერვიუერი			
ზედამხედველი			

ინტერვიუს ჩატარების თარიღი: \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_  
რიცხვი თვე წელი

*წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის!*

**წაუკითხეთ რესპონდენტს:** შინამეურნეობებში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სფეროში დაუკვირვებადი ეკონომიკის სტატისტიკური გამოკვლევის მიზანს, 2019 წლის განმავლობაში ამ სფეროში გაწეული ხარჯების დადგენა წარმოადგენს, მომსახურების ტიპისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით.

**ინტერვიუერს:** გამოკვლევაში არ მონაწილეობს შინამეურნეობა, რომლის წევრისთვის/წევრებისთვის 2019 წელს უძრავი ქონებით ოპერაციებთან დაკავშირებულ სფეროში, თვითონ და კითხვარში მოცემულ დაფინანსების არცერთ სხვა წყაროს ხარჯი არ გაუწევია.

**უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე გაწეული ხარჯი**

N	დასახელება	კერძო პირი	კერძო კომპანია	საერთაშორისო/ არასამთავრობო ორგანიზაცია	სახელმწიფო	სხვა დამფინანსებელი (გთხოვთ, მიუთითოთ)	სხვა დამფინანსებლის გაწეული ხარჯი
1	მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრისების გაქირავებით და მართვით						
2	მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავებით და მართვით						
3	უძრავი ქონების სააგენტოების მომსახურება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე						
4	მომსახურება უძრავი ქონების მართვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე						

## ინსტრუქცია

ინტერვიუს დროს გამოიკითხება შინამეურნეობის ის წევრი/წევრები, რომელიც ინფორმირებულია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სფეროში გაწეული ხარჯების მოცულობასთან დაკავშირებით.

კითხვარი მოიცავს ერთ ცხრილს, რომელშიც ჯგუფდება 2019 წელს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სფეროში გაწეული ხარჯები, მომსახურების ჯგუფებისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით.

### მომსახურების ჯგუფი:

1. **მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრისების გაქირავებით და მართვით** - მოიცავს მომსახურებას შემდეგი კატეგორიის საცხოვრისების იჯარით გაცემით და მართვით მათი მფლობელების ან მოიჯარეების მიერ: სახლების, ბინების, მრავალბინიანი სახლების, მობილური სახლების განსათავსებელი სადგომების და სხვა.
2. **მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავებით და მართვით** - მოიცავს მომსახურებას შემდეგი კატეგორიის სამრეწველო, კომერციული ან სხვა არასაცხოვრებელი შენობების ან ქონების გაქირავებით და მართვით მათი მფლობელების ან მოიჯარეების მიერ: საწარმოო და ადმინისტრაციული შენობების საწყობების, თეატრების, ყრილობათა სასახლეების, საგამოფენო დარბაზების და მრავალმიზნობრივი (არასაცხოვრებელი ტიპის) დანიშნულების შენობების და სხვ.
3. **უძრავი ქონების სააგენტოების მომსახურება** - მოიცავს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია სახლების, ბინების, მრავალბინიანი შენობების და საცხოვრებელი ფონდის სხვა შენობების გაყიდვით, და მსგავს შუამავლურ მომსახურებას, დაკავშირებულს საცხოვრებელი შენობების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვასთან და გაქირავებასთან გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე.
4. **მომსახურება უძრავი ქონების მართვით** - მოიცავს მომსახურებას საცხოვრებელი, სამრეწველო და კომერციული შენობების, მრავალფუნქციური დანიშნულების შენობების ექსპლუატაციით, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, მომსახურებას სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და მსგავსი ქონების მართვით.

### დაფინანსების წყარო:

1. **კერძო პირი** - კერძო პირს წარმოადგენს, როგორც თვითონ მომსახურების მიმღები, ასევე მისი ოჯახის წევრი ან სხვა ფიზიკური პირი, რომელიც არ განეკუთვნება კითხვარში მოცემულ სხვა დაფინანსების წყაროს.
2. **კერძო კომპანია** - კომპანია, რომელიც დარეგისტრირებულია იურიდიულ პირად.
3. **საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაცია**
4. **სახელმწიფო** - მოიცავს როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებას.
5. **სხვა დამფინანსებელი (გთხოვთ, მიუთითოთ)** - დაფინანსების სხვა წყარო, რომელიც არ არის მოცული ზემოთ დასახელებულ კატეგორიებში.
6. **სხვა დამფინანსებლის გაწეული ხარჯი** - სხვა დამფინანსებლის მიერ გაწეული ხარჯი.

იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტის მიერ ვერ ხდება ხარჯის განსაზღვრა, დაფინანსების წყაროს შესაბამის ველში უნდა ჩაიწეროს აღნიშვნა: „ - “.